



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №304/18-4  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2018 წლის 14 დეკემბრის №304 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 იანვრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მომზადდა 2019 წლის 12 თებერვალს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

-- სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სასამართლოში დაცვის მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობა.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 16 აგვისტოს --- წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

2018 წლის 28 აგვისტოს, ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაინიშნა სასამართლო სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ექსპერტიზის თანახმად, ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, --- არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა.

2018 წლის 18 ოქტომბერს --- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა --- და იშუამდგომლა --- მიმართ არსებულ სისხლი სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და მისი იძულებით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა. -- -- მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. -- -- დაენიშნა იძულებით ფსიქიატრიული მკურნალობა და მოთავსებულ იქნა შესაბამის დაწესებულებაში.

2018 წლის 30 ოქტომბერს ადვოკატმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა -- -- სასამართლოს 2018 წლის 18 ოქტომბრის განჩინების გადასინჯვა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

-- სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეების -- --, -- -- და -- -- 2018 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი ადვოკატ -- -- შუამდგომლობა განჩინების გადასინჯვის თაობაზე.

სასამართლოს შეფასებით, მხარეს შუამდგომლობაში არ მიუთითებია რაიმე ახალი გარემოება, რომელიც ცნობილი არ იყო მხარეებისთვის და სასამართლოსთვის საქმის განხილვის დროს. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, საქმეზე დართულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით უკვე ნამსჯელი აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს და აღნიშნული კუთხით ხელახალი მსჯელობის სამართლებრივი საფუძველი სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნია.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 თებერვლის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში მოსამართლის ქმედებათა სამართლებრივი შეფასებისას მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებლად ცნობს მას.

განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში.

ამდენად, მოსამართლე -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- დეკემბრის №-- განკარგულებით, -- წლის -- დეკემბრიდან -- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვეტა:**

შეწყდეს -- -- 2018 წლის 14 დეკემბრის №304 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**